კვლევითი პროექტის მომზადება ვაშა ფშაველას პოემის ,,ალუდა ქეთელაური“ და სტატიის ,,კომფლიქტი მისი არსი და დაძლევის გზების“ მიხედვით.

კონფლიქტი ადამიანებს შორის წარმოშობილი დაპირისპირებაა, რომელიც მაშინ ჩნდება, როცა ორი მხარე განსხვავებულ მიზნებს, მოთხოვნებსა და შეხედულებებს ატარებს. ეს შეუთანხმებლობა ქმნის არასასიამოვნო გარემოს, რომელიც დროულად თუ არ მოგვარდა, შესაძლოა გამწვავდეს და უფრო ფართო მასშტაბებზე გადავიდეს.

კონფლიქტს ბევრი სახეობა აქვს: შეიძლება იყოს პიროვნებებს შორის, ადამიანისა და ჯგუფის, ან ჯგუფებს შორისაც. თითოეული მათგანი შეიძლება გადაიქცეს როგორც კონსტრუქციულ, ისე დესტრუქციულ პროცესად. კონსტრუქციული კონფლიქტის დროს მხარეები აცნობიერებენ განსხვავებებს და გამოსავალს თანამშრომლობით ეძებენ, ხოლო დესტრუქციული მხოლოდ დაძაბულობასა და დაპირისპირებას ამძაფრებს.

კონფლიქტის მოსაგვარებლად სხვადასხვა სტრატეგია გამოიყენება: თავიდან არიდება, დათმობა, კონკურენცია და კომპრომისი — რადგან სწორი მიდგომა ხშირად განსაზღვრავს, გახდება თუ არა კონფლიქტი ნაბიჯი უკეთესი ურთიერთობებისკენ.

ვაჟა-ფშაველას პოემა „ალუდა ქეთელაური“ ასახავს ხევსურებისა და ქისტების შორის გამეფებულ მტრობას, როდესაც მეზობელ ტომებს შორის შინაომი, ძარცვა-გლეჯა და რელიგიური შუღლი ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული. ასეთ ვითარებაში შატილში მაცნე ავრცელებს ინფორმაციას: ქისტები მწყემსებს თავს დახსნენ და ცხენები მოიპარესო. სიმამაცით განთქმული ალუდა ქეთელაური მაშინვე გამოეკიდა მათ და გათენებისას ორ ქისტს დაეწია. ერთი პირველივე გასროლით მოკლავს, ხოლო მეორეს — მუცალს — სასტიკ ბრძოლაში უპირისპირდება. მათ შეძახილებში და გამძვინვარებულ გასროლებში ჩანს რელიგიური ფანატიზმიც და შეუწყნარებლობაც. მესამე გასროლით ალუდა მუცალს სასიკვდილოდ დაჭრის.

მუცალი, დამარცხებული, ღმერთს საყვედურით მიმართავს, თუმცა უკანასკნელ ძალას ისევ ბრძოლაში ხარჯავს — კიდევ ერთხელ ესვრის ალუდას, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს საკუთარი თოფიც გადასცემს მოწინააღმდეგეს და მიწას ეცემა. მტრის ასეთმა სიმამაცემ ალუდაში სიბრალული და პატივისცემა გააღვივა — იგი ტირის მუცალის ცხედართან და უარს ამბობს მისთვის მარჯვენას მოხლიჩვაზე, რაც ტრადიციის დაუწერელი, მაგრამ ყველასთვის სავალდებულო კანონი იყო. ალუდა მუცალს ნაბადს აფარებს და იარაღს მკერდზე ადებს.

შატილში დაბრუნებულ ალუდას ხალხი ხვდება, მაგრამ როდესაც ის მუცალს „ცხონებულს“ უწოდებს, მოხუცი ბერდია საყვედურობს — „ქისტის ცხონება არ დაწერილა რჯულში“. ალუდა კი პასუხობს: „მით ვაქებ ვაჟკაცობასა — არ იყიდება ფულიდო“.

მომხდარმა შეცვალა ალუდას შეხედულებები: მან მტრობაზე უარი თქვა და მუცალის პატივსაცემად გუდანის ჯვარში შესაწირავად მოზვერი მიიყვანა. თუმცა ეს წინაპართა წესების დარღვევას ნიშნავდა. ხევისბერის აკრძალვის მიუხედავად, ალუდამ თვითონ დაკლა მოზვერი და ღმერთს სთხოვა, მისი ქმედება ცოდვად არ ჩაეთვალა, რადგან იგი „მოუნათლავი გმირის“ მოსახსენიებლად მიიტანა.

ალუდას საქციელმა მთელი თემი აღაშფოთა. ხევისბერის ბრძანებით მას სახლ-კარი დაუნგრიეს და ოჯახთან ერთად თემიდან გაყარეს. მინდია — მისი ერთგული მეგობარი — ერთადერთია, ვინც ვერ ბედავს ალუდას წინააღმდეგ დადგომას, თუმცა ვერც გაამართლებს.

საშინელი ზამთრის შუაგულში ალუდას ოჯახი თემს წყევლით ემშვიდობება. თავად ალუდას კი, მიუხედავად დევნისა, ბოლომდე სინათლედ ედგა თავისი მიწა, მთები და ჯვარი — რაც მის უკანასკნელ სიტყვებში ბრწყინვალედ აისახება:

,,ერთხელ მაუნდა ალუდას,

ერთხელ მობრუნვა თავისა:

„მშვიდობით, საჯიხვეებო,

გამახარელნო თვალისა!

მშვიდობით, ჩემო სახ-კარო,

გულში ამშლელო ბრალისა!

მშვიდობით, ჩვენო ბატონო,

ყმათად მიმცემო ძალისა!“

კონფლიქტი იმ შემთხვევაში ჩნდება, როცა ორ მხარეს განსხვავებული მიზნები, შეხედულებები და რწმენა აქვთ, ამიტომ მათ შორის დაპირისპირება გარდაუვალი ხდება. სწორედ ასეთ წინააღმდეგობებზეა აგებული პოემა „ალუდა ქეთელაური“. ხევსურებსა და ქისტებს შორის რელიგიური და ტომობრივი ნიადაგით გამოწვეული უთანხმოება ჯგუფთაშორის კონფლიქტს ქმნის, რომლის შედეგიც ალუდასა და მუცალის დაპირისპირება ხდება — ეს უკვე პიროვნული კონფლიქტია, სადაც ორივე მხარე საკუთარი რჯულისა და ღირსებისთვის იბრძვის.

მაგრამ პოემის მთავარი დაძაბულობა ჩნდება მაშინ, როცა მუცალის სიმამაცე ალუდას ადამიანურ სიბრალულს აღუძრავს. აქ იწყება მისი შიდა კონფლიქტი: ერთი მხარეს დგას ადათი, რომელიც მტრის მარჯვენას მოჭრას ითხოვს, ხოლო მეორე მხარეს — ალუდას ახალი, ადამიანური შეგრძნება, რომ მუცალი პატივის ღირსია. ალუდა არჩევს ადამიანურობას, რაც თემის წესებს ეწინააღმდეგება და საბოლოოდ წარმოშობს კონფლიქტს პიროვნებასა და საზოგადოებას შორის. ხევსურები ალუდას გადაწყვეტილებას ღალატად თვლიან და მას ოჯახთან ერთად გასამტყუნებლად სწირავენ.

ამგვარად, პოემაში კონფლიქტი ჩანს ყველა დონეზე: ტომებს შორის, ადამიანებს შორის, ადამიანში და ადამიანსა და თემს შორის — რაც აჩვენებს, რომ განსხვავებული მიზნები და შეხედულებები ყოველთვის იწვევს დაპირისპირებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ტრადიცია და ადამიანურობა ერთმანეთს ეჯახება.

ნინი ქუმარიტოვი